ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჩიქოვანის ქუჩაზე N30-სა და N34 -ის მიმდებარედ არსებული დაზიანებული საყრდენი კედლის დემონტაჟისა და ახალი საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. თბილისი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის..... 3

2. ტექნიკური მოთხოვნები.....4

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 7

4. დანართი N1 მომსახურების ხარჯთაღრიცხვა.....11

5. დანართი N2 გამოცდილება.....12

6. დანართი N3 სპეციალისტების კვალიფიკაცია.....13

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოსადგენი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

1.7 სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით. სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარში.

1.8 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

1.9 შესყიდვის თავისებურებიდან (მომსახურების სპეციფიკიდან) გამომდინარე, ვინაიდან აღნიშნული შესყიდვის ობიექტი წარმოადგენს ინტელექტუალურ მომსახურებას, ხოლო ინტელექტუალური მომსახურების დანახარჯებს ძირითადად წარმოადგენს ადამიანური რესურსის შრომითი გასამრჯელო, მიმწოდებელს აქვს შესაძლებლობა აღნიშნული ინტელექტუალური მომსახურება განახორციელოს საბაზრო ღირებულებასთან შედარებით დაბალ ფასად. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეტენდენტის მიერ სისტემაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებასთან 20%-ით ან მეტით დაბალი საბოლოო ფასის დაფიქსირების შემთხვევაში არ წარმოეშვება ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთების ვალდებულება.

1.10 **სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით, ან/და სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7, მე–15 სართული. საკონტაქტო პირი: მათიკო ახვლედიანი ტელ: +99532 237 8572. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით საკონტაქტო პირი ბ-ნი გურამ ხორგუანი ტელეფონის ნომერი 599 345 668.**

2. ტექნიკური მოთხოვნები

2.1. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

საპროექტო ობიექტის მდებარეობა და მოკლე აღწერა:

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჩიქოვანის ქუჩის N30 და N34 შორის სპორტული მოედნის მიმდებარედ (ადგილმდებარეობის ამსახველი აეროფოტო ატვირთულია სატენდერო დოკუმენტაციისთან ერთად). არსებული საყრდენი კედელი, რომელიც აშენებულია ზეძირკვლის ანაკრები ბლოკებით და კედლის თავსა და ბოლოში მოწყობილია კიბეები, დაზიანებულია. კედლის თავზე, მთელს სიგრძეზე დგარებზე დამონტაჟებულია გაზის მილი.

დავალების მიზანი:

საჭიროა დაზიანებული საყრდენი კედლის სრული დემონტაჟი და ახალი რკინაბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა. პროექტში უნდა იყოს გათვალისწინებული კედლის თავზე არსებული გაზის მილის დგარებis მონტაჟი. უნდა მოხდეს დაზიანებული კიბის სრული დემონტაჟი და თანამედროვე არქიტექტურით შერჩეული ბაზალტის ფილებით მოპირკეთებული ახალი კიბის მონტაჟი.

შენიშვნა: საყრდენი კედლის პროექტირება მოხდეს მის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციასთან მისადაგებით.

საყრდენი კედლის ძირითადი სავარაუდო პარამეტრები:

- საპროექტო კედლის სიგრძე - 60 მ (დაზუსტდეს პროექტირების პროცესში);
- საპროექტო კედლის სიმაღლე - 3 – 4 მ (დაზუსტდეს პროექტირების პროცესში);

წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენლობა

წინასაპროექტო საკვლევ-საძიებო სამუშაოები:

1.1. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა და შესაბამისი დეტალური დასკვნების წარმოდგენა, გრაფიკული ჭრილებით, (ნიადაგის ლაბორატორიული კვლევა საჭირო სიღრმეზე არანაკლებ 3 წერტილზე);

1.2. ჰიდროლოგიური კვლევა (გრაფიკული ჭრილებით);

1.3. ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება UTM კოორდინატთა სისტემაში „CORS“ (არსებული კომუნიკაციების დატანით სიტუაციურ გეგმებზე);

1.4. შემსრულებელმა მუშა პროექტის შედგენამდე უნდა წარმოადგინოს და დამკვეთთან შეათანხმოს, საპროექტო კედლის ოპტიმალური ვარიანტ(ებ)ი, შესაბამისი ანალიზით;

2. საპროექტო მომსახურების მოცულობა:

2.1. დაზიანებული საყრდენი კედლისა და კიბეების დემონტაჟის პროექტის შედგენა; (სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია, უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით).

2.2. საყრდენი კედლის მუშა პროექტის შედგენა მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სტანდარტების დაცვით;

2.3. განმარტებითი ბარათი (უნდა შეიცავდეს: ობიექტის არსებული მდგომარეობის დეტალურ აღწერას, აღსადგენი კედლის პარამეტრებს და მის მდგომარეობას, საპროექტო გადაწყვეტილებებს, შესასრულებელ სამუშაოთა აღწერას, თანმიმდევრობას და სხვა);

2.4. სიტუაციური გეგმები (რეპერების კოორდინატების მითითება);

2.5. განივი და გრძივი პროფილები, სადაც დატანილი უნდა იყოს საპროექტო და არსებული ხელოვნური ნაგებობების პარამეტრები;

2.6. ცხრილები და უწყისები; (შესასრულებელი სამუშაოთა კრებსითი უწყისი Excel-ის ფორმატში)

2.7. საყრდენი კედლის კონსტრუქციული და მუშა ნახაზები შესაბამისი ანგარიშებით (გეგმები, ჭრილები, დეტალები, სპეციფიკაციები და სხვა);

2.8. მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა საბაზრო და რესურსული ფასებით, ასევე გამარტივებული ვერსიით ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიის სახით (დამკვეთის მიერ მოცემული ფორმით);

3. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებული უნდა იქნას სამუშაოების/მომსახურების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების (ინერტული) განთავსება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე-სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე (ქალაქ თბილისში, გლდანის მუნიციპალიტეტი, თბილისის შემოვლითი გზის მე-15 კ.მ.-ის მიმდებარედ).

3.1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (მ.შ. სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიური სქემები, კალენდარული გეგმა-გრაფიკები, მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი, შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები და სხვა);

3.2. სრული საპროექტო დოკუმენტაციის დაკომპლექტება და წარმოდგენა ელექტრონული ვერსიისა (ნახაზები - DWG და PDF ფორმატში, უწყისები და ხარჯთაღრიცხვა - Excel-ის ფორმატში, ფონტით - "sylfaen", ხოლო ლათინური სიმბოლოები -„Calibri"-ით) და ნაბეჭდი სახით, 4 (ოთხ) ეგზემპლიარად;

3.3. ნახაზები წარმოდგენილი უნდა იქნას იოლად აღქმადი მასშტაბის მიხედვით;

სხვა მოთხოვნები:

1. მიმწოდებელმა საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას, მოიძიოს საპროექტო ობიექტზე არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციის პროექტი და გაითვალისწინოს მასთან მისადაგება.
2. მიმწოდებელი ვალდებულია ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი გარემოება (მისი წარმოშობის შემთხვევაში) შეიტანოს საპროექტო დოკუმენტაციაში დამატებითი ანაზღაურების გარეშე (დამკვეთთან შეთანხმებით);
3. პროექტში გათვალისწინებული იქნას კიბეებზე შშმ პირთათვის ადაპტირებული პანდუსების მოწყობა.

შენიშვნა: ტექნიკური დავალებით მოთხოვნილი რომელიმე პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის თარიღად ჩაითვლება სრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის დღე.

2.2 გამოცდილება.

2.2.1 პრეტენდენტს 2012 წ. 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ **100 000 (ასი ათასი)** ლარის ღირებულების საპროექტო დოკუმენტაციის შედენის მომსახურების გამოცდილება, მათ შორის სადემონტაჟო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და არანაკლებ **30 000 (ოცდაათი ათასი)** ლარის ღირებულების ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გამოცდილება რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი N2–ით გათვალისწინებულ ცხრილში (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია–ხელშეკრულებ(ები)ა, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი, ან სხვა))(დანართი N2).

2.2.2 პრეტენდენტს უნდა ჰყავდეს შესაბამისი სპეციალისტები, რომელთაც უნდა გააჩნდეთ ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის სფეროში მუშაობის გამოცდილება (წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია)(დანართი N3).

2.3 მომსახურების გაწევის პირობები და ვადები:

2.3.1 მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

2.3.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოწოდებული საპროექტო დოკუმენტაცია ექსპერტიზისათვის წარუდგინოს მის მიერ შერჩეულ საექსპერტო ორგანიზაციას, რომლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მოწოდებულ დოკუმენტაციას წარუდგენს საექსპერტო ორგანიზაციას, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ;

2.3.3 შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნების გაცნობიდან არაუგვიანეს **5 (ხუთი)** სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი.

2.3.4 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

2.4. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.4.1 მომსახურების ხარჯთაღრიცხვა დანართი №1–ის მიხედვით **(ხარჯთაღრიცხვის წარმოუდგენლობა დაზუსტებას არ დაექვემდებარება და გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას);**

2.4.2 ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ დანართი №2–ის შესაბამისად.

2.4.3 ინფორმაცია საპროექტო ორგანიზაციის პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.

3.ხელშეკრულება *<u>პროექტი</u>*

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს (გარდა ხელშეკრულების მე-7 მუხლისა) და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენთთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. თბილისი **--------2015 წელი**

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი -------- სახით და მეორეს მხრივ ---------- ("შემდგომში მიმწოდებელი"), წარმოდგენილი----------სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ჩიქოვანის ქუჩაზე N30-სა და N34 -ის მიმდებარედ არსებული დაზიანებული საყრდენი კედლის დემონტაჟისა და ახალი საყრდენი კედლის მოწყობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, რომლის პირობებიც განსაზღვრულია ხელშკრულების დანართით (ტექნიკური დავალება და ხარჯთაღრიცხვა), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2.3 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი ----------

2.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.

2.5 კლასიფიკატორის კოდი - **71320000** - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

2.6 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან ---- მდე/ ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

3.1 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღე.

3.2 პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების დანართის შესაბამისად რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3 საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, ჟ.შარტავას ქ. N7, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. გასაწევი მომსახურების ხარისხი

4.1მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია მოწოდებული დოკუმენტაცია ექსპერტიზისათვის წარუდგინოს შემსყიდველის მიერ შერჩეულ საექსპერტო ორგანიზაციას (ექსპერტიზის ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი).

4.3 შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია შენიშვნის გაცნობიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი.

4.4 მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი.

5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები ან/და სამსახურის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა

სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი მოწოდებულ დოკუმენტაციას წარუდგენს საექსპერტო ორგანიზაციას, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება ექსპერტიზის დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ.
6.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.
6.4 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.5 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება 2016 წ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებით , მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, მიმწოდებელი თანახმაა მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებამდე, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა შემსყიდველის მიერ მიმართულ იქნეს ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.
7.4წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) არ გამოყენება.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3 ხელშეკრულების 4.3 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება საჯარიმო სანქცია, ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;
8.4 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5% -ის ოდენობით.
8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას ამ ხელშეკრულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესით საჯარიმო სანქციის გამოყენებასთან დაკავშირებით შეტყობინებიდან 10 (ათი)კალენდარული დღის ვადაში.
8.6 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,1 %-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9.ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ მომსახურების ვადის 20 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში
ბ) ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში.
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

13.ღირებულება

13.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
13.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
13.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

14. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

14.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
14.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი ---------- საკონტ. პირი ბ/ქ-ნ ----------, ელექტრონული ფოსტა: ----------; ფაქსი (არსებობის შემთხვევაში): ------;
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 599 345 668 ,საკონტ. პირი ბ-ნი გურამ ხორგუანი, ელექტრონული ფოსტა: ketilmotskoba@tbilisi.gov.ge.;
14.3 ხელშეკრულებაში მონაწილე ორივე მხარე ვალდებულია, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში საკონტაქტო პირ(ებ)ის ან ინფორმაციის ცვლილება წერილობითი სახით აცნობოს მეორე მხარეს.
14.4 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს
15.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს
15.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
15.5 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
---	---

დანართი N1

მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების დასახელება	ღირებულება (ლარი)
1	ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარება, არსებული საინჟინრო ქსელების მდგომარეობის და ხელოვნური ნაგებობების დაფიქსირება	
2	საინჟინრო–გეოლოგიური კვლევა (ჭრილებით)	
3	ჰიდროლოგიური კვლევა (ჭრილებით)	
4	დაზიანებული კედლისა და კიბეების დემონტაჟის პროექტის შედგენა (უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით)	
5	**მუშა პროექტის შედგენა** (გეგმები, პროფილები, ჭრილები, დეტალები, „მოპ“-ი, სპეციფიკაციები, უწყისები, განმარტებითი ბარათი და სხვა)	
6	სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	
7	სრული საპროექტო დოკუმენტაციის დაკომპლექტება და წარმოდგენა ელექტრონული ვერსიისა (DWG და PDF ფორმატში, ხარჯთაღრიცხვა Excel-ის ფორმატი) და ნაბეჭდი სახით (ოთხ ეგზემპლიარად).	
	ჯამი	
	დღგ–18%	
	სულ	

ხელმოწერა ——————————---------- ბ.ა

დანართი N2

მონაცემები პრეტენდენტის მიერ
განხორციელებული ანალოგიური მომსახურების
შესრულების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება _____

#	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1. 2. 3. #				

შენიშვნა:

პრეტენდენტს 2012 წ. 01 იანვრიდან უნდა გააჩნდეს არანაკლებ **100 000 (ასი ათასი)** ლარის ღირებულების საპროექტო დოკუმენტაციის შედენის მომსახურების გამოცდილება, მათ შორის სადემონტაჟო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და არანაკლებ **30 000 (ოცდაათი ათასი)** ლარის ღირებულების ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გამოცდილება, რომელიც ინფორმაციის სახით მოცემული უნდა იყოს დანართი N2–ით გათვალისწინებულ ცხრილში (წარმოდგენილ იქნას დამადასტურებელი დოკუმენტაცია–ხელშეკრულებ(ები)ა, ამ ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (მიღება-ჩაბარების აქტი, ან სხვა)).

ხელმოწერა ———————————---------- ბ.ა.

დანართი N3

ინფორმაცია საპროექტო ორგანიზაციის პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ

№	ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების თანამდებობა	სახელი გვარი	სპეციალობა სასწავლებლის დასახელება დამთავრების წელი	შრომის სტაჟი			მუშაობის გამოცდილების მოკლე აღწერა
				საერთო	სპეციალობა	ამ ორგანიზაციაში	
1	2	3	4	5	6	7	8

ხელმოწერა ———————————————— ბ.ა.